საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხლისებური გუდაფშუკა

მსხლისებური გუდაფშუკა

მსხლისებური გუდაფშუკა (Lycoperdon pyriforme), საჭმელი სოკო გუდაფშუკოვანთა ჯგუფისა. ნაყოფსხეული ჟანგისფერი ან ღია ყავისფერია. მისი სიმაღლეა 2–5 *სმ*, დიამეტრი – 1,5–3 *სმ*. ფორმით მსხლისებრი ან კვერცხისებრია, ძირისკენ – გაწვრილებული. ჯგუფურად იზრდება დამპალ ხეებზე და მათ მახლობლად ზაფხულში და შემოდგომით. საკვებად ვარგისია მხოლოდ ნორჩი.

ი. ნახუცრიშვილი